

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის

ოქმი №11

ქ.ვანი, თავისუფლების ქ.N 65

14.09.2022 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგით სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე-ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, შოთა გიორგაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ჩიკვაიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გელა ვარდოსანიძე.

/დანართი: N1/

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: გიორგი ივანიაძე, კობა ტოხვაძე, გელა ღვიტიძე, რამაზ არველაძე, გრიგოლ მატარაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი-ლუიზა ჯოგლიძე.

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში- სალომე ფახურიძე.

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი-მიხეილ სვანაძე.

სხდომა 13:00-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2022 წლის 14 სექტემბრის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

## დღის წესრიგი

- ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების „შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხს: /მიხეილ სვანაძე/

- ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

მომხს: /გელა ჩიკვაიძე/

- ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხს: /ალექსანდრე ლილუაშვილი/

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2022 წლის 14 სექტემბრი საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -6

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მიხეილ სვანაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიხედვით ცვლილება შეეხება: დადგენილების მე-15 მუხლით დამტკიცებულ „მარტოხელა მშობელთა დახმარების

პროგრამას “კერძოდ მე-3 პუნქტს ცვლილების მიხედვით ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პროგრამის მიზანი:

პროგრამა ითვალისწინებს მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე იმ პირების ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას, რომელთაც სტატუსი განესაზღვრათ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1191<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად.“

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -6

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას 2022 წლის 14 სექტემბრის საკრებულოს რიგითი სხდომის დღის წესრიგში.

/დანართი: N2/

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა-გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის 2022 წლის 02 სექტემბრის N65-6522245001 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს აგვისტოს თვის ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ თითოეულს 675 (ექვსას სამოცდათხუთმეტი) ლარი.

არმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის  
მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -6

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

14

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი 2022 წლის  
სექტემბრის საკრებულოს რიგითი სხდომის დღის წესრიგში.

/დანართი: N3/

საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა ბიუროს წევრებს  
წარუდგინა დასამტკიცებლად საკრებულოს 2022 წლის 14 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგი.  
წარუდგინა დაამტკიცეს 14 სექტემბრის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

კენჭი უყარეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -6

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი

ბიუროს წევრებმა დაამტკიცეს 14 სექტემბრის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი.

/დანართი: N4/

საკითხების ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითმა სხდომამ  
მუშაობა დაასრულა.

### ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

